რეფორმაციის სათავეებთან

პროტესტანტული ეკლესიები წარმოიშვნენ მარტინ ლუთერის[1] მიერ დაწყებული რეფორმაციის[2] შედეგად, სწორედ მან დაუდო საფუძველი რეფორმაციულ მოძრაობას დასავლეთში, რომელიც გერმანიაში დაიწყო და ნელ-ნელა მთელს დასავლეთ ევროპაში, შემდეგ აღმოსავლეთში გავრცელდა და გადავიდა სხვა კონტინენტებზეც. სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში ვხვდებით სქიზმის გამომწვევ განსხვავებულ მიზეზებს, ერთ-ერთი ასეთია რომის ეკლესიის მიერ დარიგებულ ე.წ „შენდობის ფურცლები[3]“, მაგრამ რა თქმა უნდა ეს ერთადერთი არ არის, რამაც წარმოშვა სხვადასხვა შიდაკათოლიკური განხეთქილებები რომლებსაც როგორც ავღნიშნეთ სათავე დაუდო ლუთერმა, ხოლო შემდეგომი განვითარდა კალვინთან[4]. სანამ უშუალოდ განვიხილავდეთ ძირითადი პროტესტანტული ეკლესიების ისტორიას და სწავლებას, გვსურს მოკლედ ვისაუბროთ რეფორმაციის გამომწვევ მიზეზებზე, დავადგინოთ სინამდვილეში როდის გაჩნდა პროტესტანტული იდეოლოგია და ეკლესიის „განახლების“იდეა, რამ გამოიწვია და რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ყოველივე ამას.

XVI საუკუნემდე, რეფორმაციული მოძრაობის დაწყებამდე, ნიადაგი მზადდებოდა დიდი რეფორმაციისათვის. პროფესორი ნიკო მაცუკა[5] გამოყოფს ხუთ ძირითად მიზეზს, რომელმაც გამოიწვია XVI საუკუნის ე.წ განხეთქილება:

1. სქოლასტიკური თეოლოგიის[6] შერყევის მიზეზი არისტოტელეს ნაშრომების თარგმნა გახლდათ.
2. ანთროპისტული[7] (ჰუმანისტური) მოძრაობები რომელმაც ხელი შეუწყო და გზა გაკვალა სწორედ აღორძინების ეპოქაში ახალი იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისაკენ.
3. დასავლეთში აღმოცენებული და რომის ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ერესები.[8]
4. ეკლესიის მმართველობითი სისტემის, რეფორმაციული იდეების არსებობა.

5. დასავლეთის სახელმწიფოების გაუთავებელი ბრძოლა საეკლესიო ძალაუფლებისგან გასათავისუფლებლად[9].

რელიგიური რეფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინამორბედია ჯონ უიკლიფი,[10] რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა პაპის პრიმატის საკითხი, საეკლესიო ტრადიცია და სხვ. მისთვის მისაღები იყო მხოლოდ და მხოლოდ წმინდა წერილი. უარყოფდა ხელდასხმას, აღსარებას, ზეთის კურთხევას, ასევე მიუღებელი იყო ხატების და წმინდა ნაწილების თაყვანისცემა. აღიარებდა მხოლოდ სამ საიდუმლოს: ნათლობას, მირონცხებას და ზიარებას (ევქარისტია). თვლიდა, რომ ზიარების დროს მორწმუნეები ეზიარებოდნენ ქრისტეს ძალით გაჯერებულ სისხლსა და ხორცს, ხოლო ურწმუნოები უბრალოდ პურსა და ღვინოს, ემხრობოდა საჯარო აღსარების. მიიჩნევდა, რომ ეკლესიას წარმოადგენდნენ მხოლოდ რჩეულნი რომელთათვისაც წინასწარ იყო განსაზღვრული ცხონება. ხაზს უსვამდა, რომ ეკლესიის თავი და მმართველი სწორედ ქრისტეა, არც პეტრე და არც პაპი. რომის პაპს მიიჩნევდა როგორც ერთ ჩვეულებრივ მორწმუნეს, ამდენად ეკლესიისთვის აუცილებელია არა იერარქია, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სიწმინდე, აღნიშნავდა უიკლიფი. ქრისტიანული ეკლესიის წყაროდ მიიჩნევდა სახარებას და ამბობდა, რომ აუცილებელი იყო ყოველი მორწმუნისთვის მისი ხელმისწავდომობა, მათთვის გასაგებ ენაზე. უიკლიფმა თავისი ნაშრომები სამ წიგნში გააერთიანა: ა) De Dominio Divino (საღმრთო ძალაუფლების შესახებ), ბ) De Dominio Civili (პოლიტიკური ძალაუფლების შესახებ) და გ) Trialogus (ტრილოგია)[11]. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასევე ნეტარი ავგუსტინეს სწავლებას, პრედესტინაციის[12] შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლუთერმაც სწორედ ამ იდეოლოგიით დაიწყო რეფორმაცია, მაგრამ რა თქმა უნდა მას არ ჰქონია ახალი ეკლესიის დაარსების მიზანი, არამედ ეკლესიის განახლება. ამრიგად, პრედესტინაციის თეორიაზე აეწყო მთელი პროტესტანტული თეოლოგია.

რეფორმაციული მოძრაობის შემდეგი წინამორბედი და ჯონ უიკლიფის მეგობარი გახლდათ იან ჰუსი[13]. მის სწავლებაზე

დაყრდნობით ლუთერმა ჩამოაყალიბა თავისი რეფორმაციული იდეოლოგია, რამაც მოგვიანებით მრავალი განხეთქილება გამოიწვია. იან ჰუსი სრულიად ემხრობოდა უიკლიფს სოტერიოლოგიაში და ასევე პაპის პრიმატის უარყოფაში. მისთვის ეკლესია წარმოადგენდა მხოლოდ რჩეულთა სამყოფელს, რომლის თავიც არის ქრისტე და არა პაპი. თვლიდა, რომ მორწმუნეები უშუალოდ ბარძიმიდან და ფეშხუმიდან უნდა ეზიარებოდნენ, რის გამოც მის მიმდევრებს ეწოდათ *უტრაქვიელები* (Utraque = ორივე)[14].

პირველ ნაბიჯს ლუთერი 1517 წლის 31 ოქტომბერს დგამს, როდესაც ადგენს ცნობილ 95 თეზისს და ვიტემბერგის ყოველთა წმინდათა ტაძარის შესასვლელში აკრავს. აქედან იწყება დიდი დაპირისპირების და რეფორმაციის ეპოქა. ლუთერს დაუპირისპირდნენ არა მხოლოდ რომის ეკლესიის მესვეურნი, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოების კათოლიკე მეფეებიც, მაგრამ ზოგიერთი მათგანისთვის, რომლებიც ცდილობდნენ ავტონომია მიეღოთ რომის ეკლესიისგან და გაქცეოდნენ პაპის კონტროლს, საჭირო მომენტი აღმოჩნდა გათავისუფლებისათვის. სწორედ ამიტომ, გერმანიის მთავრებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს ლუთერს და გერმანიაში ფეხი მოიკიდა ახალმა იდეოლოგიამ. აქედან იწყებენ ჩამოყალიბებას რომის ეკლესიისაგან იერარქიულად და ეკონომიურად დამოუკიდებელი რეფორმატორული, ეროვნული ეკლესიები.

მეთექვსმეტე საუკუნის მაშტაბური რეფორმაცია შესაძლოა დაწყებულიყო ლუთერის გარეშეც, მან უბრალოდ ბეჭედი დაასვა და ეროვნულობა გამოუღვიძა ცენტრალური ევროპის მოსახლეობას. როგორც უკვე აღნიშნეთ ამ ეპოქაში სწორედ დასახელებულმა ფაქტორმა შეუწყო ხელი მთელი მსოფლიოს მიმართულებით გაშლილიყო ეს იდეოლოგია[15].

ნელ-ნელა თავად რომის ეკლესიაშიც დგება პაპის პრიმატის საკითხი და ამჯერად არა რომელიმე ერეტიკული ჯგუფის ან ანთროპისტების მხრიდან, არამედ უშუალოდ ეკლესიის მმართველი წრეებისგან. ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა თუ რამდენად იყო რომის ეპისკოპოსი სრულიად ეკლესიის თავი,

რამდენად იყო რწმენის, ეთიკის თუ პოლიტიკური ცხოვრების მსაჯული, ან რამდენად მიიჩნეოდა ყველა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მაღლა მგომად. ეს კითხვები აწუხებდათ გერმანელ მეფეებსაც, რომლებსაც სრული ავტონომიით სურდათ ჩამოეყალიბებინათ ეროვნული ადგილობრივი ეკლესიები.

XV საუკუნეებში რომის ეკლესიამ სამი „რეფორმაციული“ კრება მოიწვია. პირველი გახლდათ პიზის კრება (1409), მეორე კონსტანცის კრება (1414-1418) და მესამე ბაზილეის კრება (1431). განიხილებოდა პაპის პრიმატის საკითხი, მისი მოვალოებანი, ასევე კრებების ავტორიტეტი და დასავლეთში აღმოცენებული რეფორმაციული მოძრაობების პრობლემა. კრებებმა კი სინამდვილეში მხოლოდ იმ დროს არსებული პატარა პრობლემებისათვის მოახერხეს წინააღმდეგობის გაწევა. რა თქმა უნდა რეფორამციული იდეები სულ რამოდენიმე წლის შემდეგ კვლავ აღზევდა[16]. ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის და გერმანიის მეფეები ძალიან ეწინააღმდეგებოდნენ რომს, უარყოფდნენ რომისეულ ხედვას, რომელიც ერთ, საყოველთაოდ ქრისტიანულ ევროპას გულისხმობდა, რომლის თავიც უშუალოდ პაპი იქნებოდა. ამრიგად, დროთა განმავლობაში იწყება პაპის იურისდიქციის თანდათანობით შეზღუდვა სამეფოებისა და სამთვროების მიერ, და ამ პროცესის კვალდაკლვალ ერთიანი, ქრისტიანული ევროპა იწყებს გახლეჩვას და ახალი სქიზმების წარმოშობას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Ματσούκας Ν., «*Οικουμενική Κίνηση*», Θεσσαλονίκη 1996.
- Ματσούκας Ν., «*Ιστορία της Φιλοσοφίας*», Θεσσαλονίκη

1997.

- Ματσούκας Ν., «*Προτεσταντισμός*», Θεσσαλονίκη 1995.
- Τσελεγγίδης Δ., «*Η Σωτηριολογία του Λουθήρου*», Θεσσαλονίκη 1999.
- Χρήστου Π., «*Χριστιανική Γραμματεία Ι*», Θεσσαλονίκη 2005.
- Χρήστου Π., «*Χριστιανική Γραμματεία ΙΙ*», Θεσσαλονίκη 2003.

მოამზადა ნიკოლოზ გურგენიძემ (თესალონიკის უმაღლესი საეკლესიო აკადემიის ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი)

წყარო- https://goo.gl/PrJGC6

https://www.palamacentre.com

Notes

[←1]

მარტინ ლუთერი (გერმ. Martin Luther 1483-1546) იყო წარმოშობით აისლებენიდან (გერმ. Lutherstadt Eisleben) რომელიც მდებარეობდა საქსონია ანჰალტის მხარეში. სწავლობდა ფილოსოფიას, გეგმავდა სწავლა გაეგრძელებინა სამართლის სფეროში მაგრამ საბოლოოდ აირჩია საეკლესიო მსახურება და გახდა ავგუსტინელთა ორდენის ბერი ერფურტის მონასტერში. ასწავლიდა ვიტენბერგის უნივერსტეტში ეგზეგეტიკას.

[←2]

ინდულგენცია (ლათ. *indulgentia*) წარმოადგენდა სიგელს რომლის მეშვეობითც ეკლესია იძლეოდა საშუალებას ცოდვების მიტევებისა ცოცხალი თუ გარდაცვლილი ადამიანისათვის შესაბამისი თანხის სანაცვლოდ. ამის მიზეზი იყო ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძრის აღდგენა. ეს ტრადიცია ცნობილია ძირითდად დასავლეთის ეკლესიისაგან მაგრამ სხვადასხვა წყაროებში ვხვდებით ამ სიგელების არსებობას სწორედ მართლმადიდებელ ეკლესიაშიც როგორც ამას არქიმანდრიტი კირილე ჰოვორუნი აღნიშნავს მის ერთ-ერთ ნაშრომში (იხ. მართლმადიდებლური ინდულგენციები - http://www.orthodoxtheology.ge/hovoruniindulgenciebi/).

[←3]

1517 წლის 31 ოქტომბერს ლუთერმა დაიწყო რელიგიური რეფორმაცია, რა დროსაც მანდ შეადგინა 95 თეზისი სადაც გმობდა ინდულგენციების გაყიდვას და ჩამოაყალიბა მოკლე სწავლება რომელიც ვიტენბერგის კათედრალის შესასვლელში გააკრა.

[←4]

ჟან (იოანე) კალვინი (ფრანგ. Jean Calvin 1509-1564) შეგვიძლია მივიჩნიოთ რეფორმაციული მოძრაობის ერთ-ერთ პროტაგონისტად ისევე როგორც ლუთერი. 12 წლის ასაკში აღიკვეცა ბერად და თავი მიუძღვნა თეოლოგიურ და ფილოსოფიურ სწავლებას პარიზის უნივერსიტეტში. მოგვიანებით ასწავლიდა სტრასბურგის უნივერსიტეტშიც. ხშირი სტუმარი იყო გერმანიის სხვადასხვა ქალაქების სადაც გაიცნო გერმანელი რეფორმისტები, მათ შორის ფილიპე მელანხთონი და სხვ. 1553 წლიდან იწყებს რეფორმაციული იდეებით გამოსვლას, სადაც ცდილობს ეკლესიის რეფორმირებას შვეიცარიაში.

[←5]

ნიკო მაცუკა (1934-2006) საერთაშორისოდ აღიარებული ბერძენი პროფესორი, ფილოსოფოსი და დოგმატიკოსი. 42 წელი მუშაობდა დოგმატიკის და ფილოსოფიის პროფესორად თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში. დაახლოებით 25 წიგნის ავტორი.

[←6]

სქოლასტიკური თეოლოგია ცდილობდა სხვადასხვა ფენომენების ახსნას ფილოსოფიური და ქრისტიანული თვალსაზრისით. ტერმინი „სქოლასტიკური თეოლოგია“ სათავეს იღებს დასავლეთში, იგი აღნიშნავს თეოლოგიას, რომელიც ისწავლებოდა მეცხრე საუკუნეში სამონასტრო სკოლებში ანუ წარმოადგენდა სასკოლო ან საუნივერსიტეტო თეოლოგიას (ბერძ. Σχολική Θεολογία). სწორედ ამ ეპოქაში სქოლასტიკური თეოლოგია ისწავლებოდა წინასწარი მოსამზადებელი კურსების შემდეგ ანუ ეს იყოფოდა ორ ნაწილად, ა) Trivium (რიტორიკა, გრამატიკა და დიალექტიკა) და ბ) Quadrivium (არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა) რაც მოგვიანებით სწორედ ცნობილმა თეოლოგმა, მიტროპოლიტმა პეტრე მოგილამ გამოიყენა კიევის აკადემიის სასწავლო პროგრამის შესადგენად. დროთა განმავლობაში იცვლის მნიშვნელობას და ხდება ლოგიკის მეთოდური გამოყენება, რომელიც ცდილობდა ქრისტიანული დოგმების თუ სხვა მოვლენების ახსნას. სქოლასტიკური თეოლოგიის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ პიერ აბელარი (1079-1142), ფრანცისკე ასიზელი (1182-1226), როჯერ ბეიკონი (1214-1294), ბონავენტურა (1221-1274) და თომა აკვინელი (1225-1274). იხ. მაცუკას ნ., *„ეკუმენური მოძრაობა“*, გამომც, პურნარა, თესალონიკი 1996.

[←7]

ანთროპიზმი- ფილოსოფიური იდეოლოგია, რომელიც ეყრდნობოდა მეცნიერულ მეთოდოლოგიას სამყაროს ფუნქციონირების შესახებ, გამორიცხავდა მეტაფიზიკურ მოვლენებსა და სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეს ანუ სულის უკვდავებას, ხაზს უსვამდა ადამიანის ლოგიკას. ანთროპიზმს ვხვდებით ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ძველ ბერძენ და რომაელ ფილოსოფოსებში, როგორიცაა ეპიკურე (ძვ.წ. 341-270), ეზოპე (ძვ.წ მეექვსე საუკუნე), დემოკრიტე (ძვ.წ 460-370), პროთაგორა (ძვ.წ 484-410), მარკუს_ავრილიუსი (ახ.წ. 121-180) და სხვ. იხ. მაცუკა ნ., *„ფილოსოფიის ისტორია“*, გამომც. პურნარა, თესალონიკი 1997.

[←8]

ერთ-ერთი ასეთი იყო კათარიზმი (ბერძ. Καθαρισμός - სისუფთავე, სისპეტაკე) რომელიც გაჩნდა იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში XII-XIV საუკუნეებში, არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს სწორედ ბიზანტიაში იღებდეს სათავეს, საიდანაც ბულგარეთში, შემდეგ ჰოლანდიასა და ესპანეთში გავრცელდა. ეს იყო ერესი გააჩნდა გნოსტიციზმის ელემენტებით. ამ ერესის წევრებს სხვანაერად ალბიგოურებსაც უწოდებდნენ რადგან მათი პირველი საეპისკოპოსო საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ალბიში დაარსდა. ერესის იდეოლოგიური მხარე რომის ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული და ყველანაერად ცდილობდა მის დაკნინებას. მათი სწავლება ეყრდნობოდა დუალიზმს, ე.წ ორ მთავრობას, ღმერთის და ეშმაკის, სინათლის და სიბნელის, სიკეთის და სიბოროტის და ა.შ. გააჩნდათ მონოფიზიტური სწავლებები რითაც გამორიცხავდნენ ქრისტეს შობას ქალწული მარიამისაგან, ასევე უარყოფდნენ სამების არსებობას. სწორედ ამის გამო პაპ ინოკენტი მესამის ინიციატივით დაიგეგმა ალბიგოური ჯვაროსნული ლაშქრობები რომელიც მიმართული იყო კათარების წინააღმდეგ 1209 წელს.

[←9]

იხ. მაცუკა ნ., *„პროტესტანტიზმი“*, გამომც. პურნარა, თესალონიკი 1995.

[← 10]

ჯონ უიკლიფი (1329-1384) - ოქსფორდის პროფესორი და მღვდელი, რომელიც ლონდონის კრებამ 1382 წელს განკვეთა სამღვდელო ხარისხიდან და ჩამოერთვა საუნივერსიტეტო კათედრა. იხ. ცელენგიდის დ., *„ლუთერისეული სოტირიოლოგია“*, თესალონიკი 1999.

[← 11]

იხ. ხრისტუ პ., „*საეკლესიო მწერლობა II*”, თესალონიკი 2003.

[← 12]

პრედესტინაცია - თეოლოგუმენა, რომელიც ჩნდება ჯერ კიდევ პირველქრისტიანულ ეპოქაში. ამ სწავლების მამად მიიჩნევა ნეტარი ავგუსტინე (345-430). სწავლების მიხედვით ყოველი ადამიანი ცოდვილია თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მაგრამ ღმერთს წინასწარ ყავს რჩეულნი რომელიც სიკვდილის შემდეგ ცხონებას ჰპოვებენ.

[← 13]

იან ჰუსი (1369-1415) - წარმოშობით ჩეხი ფილოსოფოსი და რეფორმისტი. ასწავლიდა კარლის უნივერსიტეტში, პრაღაში. რომის ეკლესიამ მისი სწავლებები მიიჩნია ერეტიკულად, კონსტანტიას სინოდზე ანათემას გადაეცა და მიესაჯა ინკვიზიცია როგორც ეკლესიაში ერესის შემომტანს. 1415 წლის 6 ივლიის ცოცხლად დაწვეს. ისტორიიდან ცნობილია ჰუსისტური ომები, რომელიც გაჩაღებული იყო იან ჰუსის მიმდევრებსა და კათოლიკეებს შორის 1419-1434 წლებში.

[← 14]

იხ. ცელენგიდის დ., *„ლუთერისეული სოტიროლოგია“*, გამომც. პურნარა, თესალონიკი 1999.

[← 15]

იხ. ხრისტუ პ., „*საეკლესიო მწერლობა II*”, თესალონიკი 2003.

[← 16]

იხ. მაცუკა ნ., *„პროტესტანტიზმი“*, გამომც. პურნარა, თესალონიკი 1995.